

ოთარ თაქთაქიშვილი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილი დაიბადა 1924 წლის 27 ივლისს, თბილისში. პაპამისი შალვა თაქთაქიშვილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორი იყო, პაპის ძმა გიორგი კი ასევე ცნობილი მუსიკოსი და მუსიკათმცოდნე.

1947 წელს ოთარ თაქთაქიშვილმა ნარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (სერგეი ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი), 1950 წელს კი ასპირანტურა.

საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო ოთარ თაქთაქიშვილმა. იგი 1947-1952 წლებში იყო საქართველოს საგუნდო კაპელის დირიჟორი, 1952-1956 წლებში – სამხატვრო ხელმძღვანელი; 1959-1989 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1966 წლიდან – პროფესორი; 1962-1965 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი; 1965-1984 წლებში – საქართველოს კულტურის მინისტრი; 1957-1962 წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, 1962 წლიდან – თავმჯდომარე, 1957 წლიდან სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

ოთარ თაქთაქიშვილმა მუსიკალური საზოგადოების ყურადღება სტუდენტობიდანვე მიიპყრო, როდესაც საქართველოს ჰიმნისთვის გამოცხადებულ დახურულ კონკურსში გამარჯვდა.

დიდია მისი როლი ეროვნული ოპერის კლასიკური ტრადიციების განვითარებასა და დამკვიდრებაში.

ოთარ თაქთაქიშვილს ეკუთვნის შემდეგი ცნობილი ნაწარმოებები:

ოპერა „მინდია“ (1961) – გარდა თბილისისა, დაიდგა საზღვარგარეთ, ათი ქვეყნის საოპერო თეატრის სცენაზე.

ოპერა „სამი ნოველა“ (1967) – თბილისის გარდა დაიდგა მოსკოვსა და ბრატისლავაში.

ოპერა „მთვარის მოტაცება“ (1977) – პრემიერა გაიმართა მოსკოვის დიდ თეატრში.

კომიკური ოპერა „მუსუსი“ (1978).

კომიკური ოპერა „პირველი სიყვარული“ (1980)

ერთმოქმედებიანი ოპერა „მარიტა“ (1988).

ორატორიები:

„ცოცხალი კერა“ (1964).

„რუსთაველის ნაკვალევზე“ (1965).

„ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970).

„საერო ჰიმნები“ (1979).

კანტატები:

„გურული სიმღერები“ (1972).

„სატრფიალო სიმღერები“ (1974).

„აკაკის ჩანგი“ (1983).

ორი სიმფონია (1949, 1953).

სიმფონიური პოემა „მწირი“ (1956).

4 საფორტეპიანო კონცერტი (1951-1983).

სავიოლინო კონცერტი (1977).

ჩელოს კონცერტი (1978).

ვოკალური ციკლები ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე (1959).

საგუნდო და ინსტრუმენტული პიესები.

სიმღერები და რომანსები.

მუსიკა დრამატული სპექტაკლებისთვის.

მუსიკა კინოფილმებისთვის.

ოთარ თავთაქიშვილი იყო საქართველოს (1961) და საბჭოთა კავშირის (1974) სახალხო არტისტი, სტალინური (1951, 1952), სახელმწიფო (1967) და ლენინური (1983) პრემიების, აგრეთვე ალბერტ შვაიცერის პრემიის (1986) ლაურეატი, იუნესკოსთან არსებული მუსიკალური საბჭოს წევრი.

1985 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, 1987 წელს კი, ნაწარმოებებისთვის „აკაკის ჩანგი“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ – შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ოთარ თავთაქიშვილი გარდაიცვალა 1989 წლის თებერვალში, დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ოთარ თაქთაქიშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ოთარ თაქთაქიშვილის ავტობიოგრაფია.
1946 წ. 14 მარტი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
2. ამონაწერი ო. თაქთაქიშვილის ჩათვლის უწყებიდან..
1948 წ. 31 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე.
ხელს აწერენ: გრ. კილაძე, ნ. ჯანდიერი. 2 გვ.
3. საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის ცნობა-დახასიათება გაცემული ო. თაქ-
თაქიშვილისადმი.
1948 წ. 9 ნოემბერი. ნაბეჭდი. შტამპით. ხელს აწერენ: შ. მშველიძე, რ. გაბიჩვაძე.
რუსულ ენაზე. 2 გვ.
4. ო. თაქთაქიშვილის წარჩინების დიპლომი კომპოზიციაში, გაცემული თბილისის სა-
ხელმწიფო კონსერვატორიის საგამოცდო კომისიის მიერ.
1948 წ. ნაბეჭდი. ასლი. ხელს აწერენ: დ. არაყიშვილი, გრ. კილაძე, ნ. ჯანდიერი. ბეჭ-
დით. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.
5. ო. თაქთაქიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: ს. ბარხუდარიანი.
1951 წ. 6 ივლისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
6. ო. თაქთაქიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1951 წ. 6 ივლისი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე.
4 გვ.
7. ო. თაქთაქიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1954 წ. 15 აპრილი. სტამბური. ხელით შევსებული. მელანი. ქართულ და რუსულ
ენებზე. 4 გვ.
8. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის პირველი სესიის სამვი, გაცემული სსრკ-
ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ო. თაქთაქიშვილისადმი.
1954 წ. სტამბური. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

9. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ა. გუნიას ბრძანება საქართველოს სახელმწიფო კაპელის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან ოთარ თაქთაქიშვილის პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების შესახებ და ამავე თანამდებობაზე გიორგი სიმონის ძე ხახანაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით.
1956 წ. 31 იანვარი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
10. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ა. გუნიას ბრძანება ო. თაქთაქიშვილისა და ს. ცინცაძისადმი VI მსოფლიო ახალგაზრდულ ფესტივალში ვერცხლის მედლით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
1957 წ. 19 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. ო. თაქთაქიშვილის ავტობიოგრაფია.
პირი: ს. ბარხუდარიანი, ნასიძე, გეჯაძე, ჩიკაშუა, მამისაშვილი, ლ. ობერინი, დ. ოისტრახი, ი. ზაკი, ა. იოსელიანი, კ. ივანოვი, ა. გაუკი, კ. ზანდერლინგი, ბულატოვა, ყუბინსკაია, გერონიმუსი.
1958 წ. 24 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
12. ო. თაქთაქიშვილის განცხადება საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოსადმი (საუდი) მისი ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1959 წ. 4 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
13. „საუდის“ ავტორის სარეგისტრაციო ბარათი ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებთა ჩამონათვალით.
1961 წ. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
14. კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების ხელმძღვანელის რ. ვახტანგოვის წერილი სსრკ-ის კულტურის სამინისტროს საგარეო ურთიერთობების სამმართველოს თანამშრომლის გ. ორლოვისადმი, ო. თაქთაქიშვილისა და მისი მეუღლის ი. ჭირაქაძის საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ.
პირი: ე. ვირსალაძე.
1962 წ. ნაბეჭდი, რუსულ ენაზე. 1 გვ.
15. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი ვოკალური ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1963 წ. 14 დეკემბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
16. „საუდის“ ოპერატიული განყოფილების უფროსის შ. ბეკურაშვილის ოფიციალური მიმართვა ო. თაქთაქიშვილისადმი, „საუდის“ ბლანკში მისი ნაწარმოებების შეტანის შესახებ.
1963 წ. 14 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი, რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.

17. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, ვოკალურ ნაწარმოებთა რეგისტრაციის შესახებ.
1964 წ. 27 ივნისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
18. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი საგუნდო ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1965 წ. 21 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია ქართულ ენაზე. 2 გვ.
19. „საუდის“ განცხადება ო. თაქთაქიშვილის ორატორია „ჩაუქრობელი კერის“ შესახებ. მეორე გვერდზე ვ. დოლიძის შეტყობინება ო. თაქთაქიშვილისადმი „საუდის“ ბლანკში ტექსტის ავტორის შეტანის შესახებ.
1965 წ. 5, 7 ივნისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
20. უკრაინის სსრ საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილი „საუდის“ საქართველოს განყოფილების დირექტორის მოადგილის შ. ბეკურაშვილისადმი, ო. თაქთაქიშვილისთვის სპექტაკლ „ანტიგონეს“ ჰონორარის ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
1965 წ. 27 ნოემბერი. კიევი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ და უკრაინულ ენებზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
21. სსრკ-ის კულტურის სამინისტროს საგარეო საქმეთა სამმართველოს ინსპექტორის მ. ორლოვის წერილი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების ხელმძღვანელის რ. ტ. ვახტანგოვისადმი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის მივლინებით გერმანიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1966 წ. 16 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
22. კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების ხელმძღვანელის რ. ვახტანგოვის წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ო. თაქთაქიშვილის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1966 წ. ნაბეჭდი, რუსულ ენაზე. 1 გვ.
23. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ო. თაქთაქიშვილის მეუღლის ი. ჭირაქაძის გერმანიაში გამგზავრების ნებართვის გაცემის თაობაზე.
1966 წ. 15 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
24. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის წერილი სსრკ-ის კულტურის სამინისტროსადმი, ო. თაქთაქიშვილისა და მისი მეუღლის ი. ჭირაქაძის გერმანიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1966 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

25. სსრკ-ის კულტურის სამინისტროს საგარეო საქმეთა სამმართველოს ინსპექტორის მ. ორლოვის წერილი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების ხელმძღვანელისადმი – კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილისა და მისი მეუღლის საზღვარგარეთ მოგზაურობასთან დაკავშირებით.
1966 წ. 28 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
26. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლისთვის „მეფე ლირი“ რეგისტრაციის შესახებ.
1965 წ. 21 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
27. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი ვოკალური ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1966 წ. 7 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
28. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლისთვის „ცეზარი და კლეოპატრა“ რეგისტრაციის შესახებ.
1966 წ. 7 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
29. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორის ნ. კიტიას ცნობა სპექტაკლ „მეფე ლირის“ (უილიამ შექსპირი) ო. თაქთაქიშვილის მიერ მუსიკალურად გაფორმების შესახებ.
1966 წ. 15 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბენდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
30. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, ვოკალურ ნაწარმოებთა რეგისტრაციის შესახებ.
1966 წ. 22 დეკემბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია ქართულ ენაზე. 1 გვ.
31. უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული პროფესორის ატესტატი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, კომპოზიციის კათედრის პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ.
1967 წ. 17 იანვარი. მოსკოვი. სტამბური. რუსულ ენაზე. ასლი. ხელმოწერილი. 3 გვ.
32. „საუდის“ ბუღალტრის ე. ნ. ჩიკვაძის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ფორმა №20-ის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1967 წ. 20 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერილი. 1 გვ.
33. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლისთვის „ხოგაის მინდია“ რეგისტრაციის შესახებ.
1967 წ. 28 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.

34. ო. თაქთაქიშვილის მიმართვა საქართველოს სამეცნიერო და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორის ივ. მესხიშვილისადმი, ალ. ახმეტელის იუბილესთან დაკავშირებით.
1967 წ. 18 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
35. ო. თაქთაქიშვილის საბჭოთა ლენინური ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი საპატიო სიგელი.
1968 წ. სტამბური, ნაბეჭდი. ბეჭდით. რუსულ ენაზე, ყდით. 1 გვ.
36. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლისთვის – „სანამ ურემი გადაბრუნდება“ რეგისტრაციის შესახებ.
1969 წ. 28 ნოემბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
37. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორის დ. კიტას ცნობა პიესისთვის „ხოგაის მინდია“ ო. თაქთაქიშვილის მიერ მუსიკალურად გაფორმების შესახებ.
1969 წ. 24 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
38. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორის დორიან კიტას ცნობა პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ოთარ თაქთაქიშვილის მიერ მუსიკალურად გაფორმების შესახებ.
1969 წ. 24 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
39. დ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის, საქართველოს სახალხო არტისტის შოთა პირველის ცნობა ერთმოქმედებიანი სპექტაკლისთვის „ანტიგონე“ ოთარ თაქთაქიშვილის მიერ მუსიკალურად გაფორმების შესახებ.
1971 წ. 7 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
40. ო. თაქთაქიშვილის I ხარისხის დიპლომი სპექტაკლისთვის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მუსიკალურად გაფორმებასთან დაკავშირებით.
1971 წ. უკრაინა. სტამბური. ხელით შევსებული. ბეჭდებით. უკრაინულ ენაზე. ხელმოწერებით. 2 გვ.
41. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის ბიოგრაფიული და სამსახურებრივი მონაცემების შემცველი ცნობა სსრკ-ის კულტურის სამინისტროს კადრების მართვისა და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელის მოადგილის ვ. ნაზაროვისადმი.
1972 წ. 20 იანვარი. ნაბეჭდი. მელნით ჩასწორებული. რუსულ ენაზე. 8 გვ.

42. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლ „ანტიგონეს-თვის“ რეგისტრაციის შესახებ.
1972 წ. 10 ოქტომბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
43. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი მუსიკის სპექტაკლ „დონ კარლო-სისთვის“ რეგისტრაციის შესახებ.
1972 წ. 10 ოქტომბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
44. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფი-ლების უფროსის ი. კეჭაყმაძის ცნობა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „ჩიკორის“ პრემიერის შესახებ.
1972 წ. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
45. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფი-ლების უფროსის ი. კეჭაყმაძის ცნობა ო. თაქთაქიშვილის ერთმოქმედებიანი ოპერა „ჯარისკაცის“ მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელო-ბის მუსიკალურ თეატრში პრემიერასთან დაკავშირებით.
1972 წ. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
46. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფი-ლების უფროსის ი. კეჭაყმაძის ცნობა ო. თაქთაქიშვილის ერთმოქმედებიანი ოპერა „ორი განაჩენის“ მოსკოვის კ.ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახე-ლობის მუსიკალურ თეატრში პრემიერასთან დაკავშირებით.
1972 წ. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
47. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორ-განმკარგულებლის ვ. გოგეშვილისა და მუსიკალური ნაწილის გამგის ა. ჩორგოლაშვილის ცნობა სპექტაკლისთვის „მთვარის მოტაცება“ ო. თაქთაქიშვილის მიერ მუსიკის დაწერის შესახებ.
1974 წ. 10 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
48. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორ-განმ-კარგულებლის ვ. გოგეშვილისა და მუსიკალური ნაწილის გამგის ა. ჩორგოლაშვილის ცნობა სპექტაკლისთვის „ქორწინება“, ო. თაქთაქიშვილის მიერ მუსიკის დაწერის შე-სახებ.
1974 წ. 10 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.
49. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდის“ სახელზე, სპექტაკლ „ხოგაის მინდიასთვის“ მისი მუსიკის რეგისტრაციის შესახებ.
1974 წ. 18 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.

50. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი ვოკალური და სიმფონიური ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1974 წ. 29 ნოემბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
51. თბილისი-საარბრიუკენის მეგობრობის სიგელი ო. თაქთაქიშვილისადმი, საარბრიუკენში ქართული კულტურის დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით.
1974 წ. საარბრიუკენი. ხელნაწერი. ტუში. გერმანულ ენაზე. 1 გვ.
52. ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებთა ჩამონათვალი.
1974 წ. ნაბეჭდი. მელნით ჩასწორებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
53. ბრძანების საარქივო ასლი ო. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნასთან დაკავშირებით.
1975 წ. 12 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელს აწერენ: ვ. გურგენიძე, ნ. ქიქოძე. 1 გვ.
54. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდის“ სახელზე, მისი ვოკალური ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.
1975 წ. 20 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
55. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, ერთმოქმედებიანი ოპერა „ჯარისკაცის“ რეგისტრაციის შესახებ.
1975 წ. 2 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
56. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი ერთმოქმედებიანი ოპერა „ჩიკორის“ რეგისტრაციის შესახებ.
1975 წ. 2 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
57. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, მისი ერთმოქმედებიანი ოპერა „ორი ძმის“ (ოპერა „სამი სიცოცხლის“ ნაწილი) რეგისტრაციის შესახებ.
1975 წ. 2 ივლისი. ბლანკი. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
58. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგის ვ. კუხიანიძის ცნობა სპექტაკლისთვის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“ ო. თაქთაქიშვილისა და შავლეგ შილაკაძის მიერ მუსიკის დაწერასთან დაკავშირებით.
1975 წ. 22 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.

59. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“, სპექტაკლისთვის „ტალანტები და თაყვანისმცემლების“ მისი მუსიკის რეგისტრაციის შესახებ.
1975 წ. 29 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი შ. ბეკურაშვილის რეზოლუცია. 1 გვ.
60. ო. თაქთაქიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1976 წ. 12 ივლისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
61. ო. თაქთაქიშვილის სიტყვით გამოსვლა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გახსნაზე.
1977 წ. 30 აპრილი. ნაბეჭდი. 3 გვ.
62. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგიის მთავარი დირექტორის ა. წულუკიძის ცნობა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცების“ პრემიერის შესახებ.
1978 წ. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელნაწერი. ხელმოწერილი. 1 გვ.
63. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“ მისი ოპერა „მთვარის მოტაცების“ რეგისტრაციის შესახებ.
1978 წ. 3 მაისი. ბლანკი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
64. ქალაქ ჰიუსტონის – ტეხასის შტატის საპატიო მოქალაქის სიგელი ო. თაქთაქიშვილისადმი.
978 წ. ქ. ჰიუსტონი. სტამბური. ინგლისურ ენაზე. ხელმოწერილი. 1 ც.
65. ო. თაქთაქიშვილის მინდობილობა ლია სეხნიაშვილისადმი, კუთვნილი ჰონორარის აღებასთან დაკავშირებით.
1984 წ. 5 ივნისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
66. ო. თაქთაქიშვილის სახელობის კონკურსის დიპლომი.
1981 წ. ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. შეუვსებელი. ყდით. 1 ც.
67. ო. თაქთაქიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
[1946 წ.].. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
68. „საუდის“ თბილისის განყოფილების დირექტორის მოადგილის შ. ბეკურაშვილის წერილი უკრაინის საავტორო უფლებათა დაცვის კომიტეტის დირექტორის ი. ლ. დინკევიჩისადმი, ო. თაქთაქიშვილის მუსიკის სპექტაკლისთვის „ოდიპოს მეფის“ ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით..
[1965 წ.]. 12 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
69. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორის [ივანე (კუკური) პატარიძის] ცნობა სპექტაკლისთვის „დონ კარლოსი“ ოთარ თაქთაქიშვილის მიერ მუსიკის დაწერასთან დაკავშირებით.
[1972 წ.]. ნაბეჭდი. ბეჭდით. ხელმოწერილი. 1 გვ.

70. ო. თაქთაქიშვილის განცხადება „საუდისადმი“ სპექტაკლ „მთვარის მოტაცებისთვის“ მისი მუსიკის რეგისტრაციის შესახებ.
[1974 წ.]. 29 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. შ. ბეკურაშვილის რეჟოლუცია. 1 გვ.
71. ო. თაქთაქიშვილის სახელზე გაცემული I ხარისხის დიპლომი – სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, კულტურის სამინისტროსა და პროფკავშირის ცკ-ის მიერ ოპერებისთვის „მუსუსი“ და „პირველი სიყვარული“.
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. თანამდებობის პირთა ხელმოწერებით. 1 ც.
72. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცარიელი საქალაქო ო. თაქთაქიშვილის რეჟოლუციით.
პირი: ნ. გურაბანიძე, ი. კეჭაყმაძე, კუცია.
წ. (?). 30 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
73. ო. თაქთაქიშვილის მინდობილობა გელა გეგეჭკორისადმი, აშშ-დან პრეპარატების წამოღებასთან დაკავშირებით..
პირი: ნ. ბარჩუკი
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
74. ო. თაქთაქიშვილის ბიოგრაფია.
პირი: ს. ბარხუდარიანი.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
75. ო. თაქთაქიშვილის ბიოგრაფია.
პირი: ს. ნასიძე, ი. გეჯაძე, ო. ჩიკაშუა, ნ. მამისაშვილი, ლ. ობერინი, დ. ოისტრახი, ი. ზაკი, ა. იოხელესი, კ. ივანოვი, ა. გაუკი, კ. ზანდერლინგი, ბულატოვა, ჟუბინსკაია, გერონიმუსი.
უთარილო. ხელნაწერი. 3 გვ
76. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ო. თაქთაქიშვილის სიტყვა ფესტივალზე „ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხული“.
პირი: ამიროვი, დავით თორაძე, ბუკია, ალექსი მაჭავარიანი, კარა კარაევა, ეგნაზარიანი, ოგანესიანი, არუთუნიანი, არნო ბაბაჯანიანი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე, გაჯიევი, გაჯიბეგოვი, არჩილ ჩიმაკაძე, ნიაზი, ტერ-თათევოსიანი, ბიძინა კვერნაძე, სარიანი, ნაზაროვი, ა. სტეფანიანი, სულხან ცინცაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი, ე. მირზოიანი, რეზო ლალიძე, ს. გუსტამოვი, ა. სატიანი, რევაზ გაბიჩვაძე.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

შემაჯავებელი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

77. „იმერული მგზავრული“ – მაღალი ხმისა და ფორტეპიანოსათვის, დამუშავებული ო. თაქთაქიშვილის მიერ.
1970 წ. 7 თებერვალი. ნოტი. ავტოგრაფი. ფანქარი. 7 გვ.
78. ო. თაქთაქიშვილი – „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, ვოკალისა და ფორტეპიანოსათვის. ლექსი აკაკი წერეთლის.
1983 წ. 9 აპრილი. ნოტი. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.
79. ბრძანება ო. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ (მიზეზი: გადაყვანილია პედაგოგიურ საქმიანობაზე).
1984 წ. 14 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: პ. გილაშვილი, თ. ლაშქარაშვილი, ყუფარაძე. 1 გვ.
80. ო. თაქთაქიშვილი – საფორტეპიანო კონცერტი №4. მეორე ნაწილი.
[1983 წ.]. კლავირი. ავტოგრაფი. ფანქარი. 28 გვ.
81. ო. თაქთაქიშვილი – ჩამატება IV საფორტეპიანო კონცერტის ნელი (ანდანტე ცონ მოტო) ნაწილისთვის.
[1983 წ.]. კლავირი. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.
82. ო. თაქთაქიშვილი – ტრიო ვიოლინოს, ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსთვის.
[1987 წ.]. ხელნაწერი. ასლი. თავფურცელი რუსულ ენაზე. 71 გვ.
83. ო. თაქთაქიშვილი – „საბჭოთა საქართველოს ჰიმნი“ (გუნდისა და ფორტეპიანოსთვის).
უთარილო. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
84. ო. თაქთაქიშვილი – ოპერა „მუსუსი“ (ფრაგმენტი კლავირის კორექტურიდან).
უთარილო. სტამბური. 3 გვ.
85. ო. თაქთაქიშვილი – მზიას არია ოპერიდან „მინდია“.
უთარილო. კლავირი. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.
86. ო. თაქთაქიშვილი – მარგოს არია ოპერიდან (?)
უთარილო. კლავირი. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.
87. ო. თაქთაქიშვილი – საორკესტრო ნაწარმოები (დასახელებული არ არის) – შესავალი.
უთარილო. პარტიტურა. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.

88. ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოები (დასახელებული არ არის) – მეორე აქტის პირველი ცეკვა.
უთარილო. პარტიტურა. ავტოგრაფი. ფანქარი. 26 გვ.
89. „ძილისპირული“ – ლექსი და მუსიკა ო. თაქთაქიშვილი (გუნდისთვის).
უთარილო. ნოტი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
90. ო. თაქთაქიშვილი – „საბჭოთა საქართველოს ჰიმნი“ (პარტიტურა).
უთარილო. პარტიტურა. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ, რუსულ და იტალიურ ენებზე. დაზიანებული. 5 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ოთარ თაქთაქიშვილის წერილები

91. ოთარ თაქთაქიშვილის წერილი მარიო დი ბონავენტურასადმი, მისი შემოქმედების შესახებ.
1975 წ. 15, 19 სექტემბერი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. 5 გვ.
92. ო, თაქთაქიშვილის წერილი ზიგფრიდ კიოლერისადმი მისი ნაწარმოებების შესახებ.
1976 წ. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. 3 გვ.
93. ო თაქთაქიშვილის პირადი ხასიათის წერილი პიერ სკანსისადმი.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ და ინგლისურ ენებზე. 2 გვ.
94. ო. თაქთაქიშვილის პირადი ხასიათის წერილი შვედეთის რადიოკომპანიის მუსიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პიერ სკანსისადმი.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ინგლისურ ენაზე. 1 გვ.
95. ო. თაქთაქიშვილის წერილი ჰესენის მხარის ვისბადენის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორის ზიგფრიდ კიოლერისადმი, მისი ორატორიის „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ პარტიტურისა და კლავირის გაგზავნის შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. გერმანულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.
96. ო. თაქთაქიშვილის წერილი კარლ მელესადმი, მისი პარტიტურის (სახელწოდება მითითებული არ არის) გაგზავნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
97. ო. თაქთაქიშვილის წერილი ბატონ ჰუკრიდასადმი, მისი ვოკალური ციკლის „მეგრული სიმღერების“ შესრულებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. გერმანულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

98. ო. თაქთაქიშვილის წერილი ბატონ ჰანეროლე გერლახისადმი, მისი პარტიტურების, კლავირისა და აუდიოჩანაწერების გაგზავნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
99. ო. თაქთაქიშვილის წერილი „საუდის“ საქართველოს განყოფილებისადმი, მისი ოპერის „მთვარის მოტაცების“ გალექსილი ტექსტის ავტორის შოთა ნიშნიანიძისთვის ჰონორარის მიღების შესახებ.
ნ. (?). 3 მაისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
100. ო. თაქთაქიშვილის პირადი ხასიათის წერილი გალინა პეტროვნასადმი (გვარი მითითებული არ არის).
ნ. (?). 5 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
101. ო. თაქთაქიშვილის წერილი უცნობი პირისადმი, საბჭოთა მუსიკისა და მისი ნაწარმოებების შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
102. ო. თაქთაქიშვილის წერილი იანისადმი, დავიდ ოისტრახის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
პირი: ენგელტიუსი, ისაკაძეები.
უთარილო. ავტოგრაფი. 1 გვ.
103. ო. თაქთაქიშვილის წერილი [საკონკურსო კომისიისადმი], „თარის“ ჰიმნთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

წერილები ოთარ თაქთაქიშვილისადმი

104. ტიუმენის მუსიკალური სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეთა მისალოცი წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1952 წ. 18 მარტი. ნაბეჭდი, შტამპი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს სკოლის დირექტორი: ი. გელლერი. 1 გვ.
105. ა. იოხელესის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საფორტეპიანო კონცერტის შესახებ.
1952 წ. 25 მარტი. ავტოგრაფი. წითელი ფანქარი. რუსულ ენაზე. 3 გვ (ერთვის კონვერტი).
106. მუსიკალური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური მუზეუმის დირექტორის ე. ალექსეევას მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1952 წ. 26 მარტი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.

107. მუსიკალური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური მუზეუმის დირექტორის ე. ალექსეევას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, პირად ფონდში მასალის გადაცემასთან დაკავშირებით.
1952 წ. 7 აპრილი. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
108. გ. ი. ბრაუნის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საფორტეპიანო კონცერტისა და სხვა ნაწარმოებების შესახებ.
პირი: ა. იოხელესი.
1953 წ. 20 აგვისტო. რიგა. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
109. დ. პერსონის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მომავალი გასტროლების შესახებ.
1953 წ. 18 სექტემბერი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
110. გ. ი. ბრაუნის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1953 წ. 21 სექტემბერი. რიგა. ღია ბარათი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.
111. მუსფონდის დირექტორის დ. მ. პერსონის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სანოტო მასალის გაგზავნისა და საკონცერტო ტურნეს შესახებ.
პირი: ი. ზაკი, ა. იოხელესი. დ. ოისტრახი, ლ. ობერინი.
1954 წ. 1 აგვისტო. გემი „ნეკრასოვი“. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
112. მუსფონდის დირექტორის დ. მ. პერსონის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საკონცერტო ტურნეს შესახებ.
1954 წ. 25 აგვისტო. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 10 გვ.
113. მუსფონდის დირექტორის დ. მ. პერსონის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მომავალი კონცერტების შესახებ.
პირი: დ. შოსტაკოვიჩი, ი. ირენბერგი, ე. გილელსი.
1954 წ. 5 სექტემბერი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
114. სსრკ-ის მუსფონდის დირექტორის დ. მ. პერსონის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მეორე სიმფონიის პარტიტურის შესახებ.
1954 წ. სექტემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
115. სულთან ჰაჯიბეკოვის, აზერბაიჯანის სსრ კომპოზიტორთა კავშირის და მუსფონდის მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საავტორო კონცერტის შესახებ.
1954 წ. 14 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
116. უზბეკეთის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ა. კოზლოვსკისა და ორკესტრის დირექტორის კლეიმანსის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი უზბეკეთის რესპუბლიკის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.
1954 წ. 10 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.

117. კონსტანტინ ივანოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მეორე სიმფონიის შესახებ.
1955 წ. 12 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
118. პიანისტ მართა ადოსიანის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, მისი შემოქმედების შესახებ.
1955 წ. 15 იანვარი. ქალაქი არადი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
119. დმიტრი შოსტაკოვიჩის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1955 წ. 5 თებერვალი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
120. არამ ხაჩატურიანის პირადი ხასიათის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი.
1956 წ. 25 ივნისი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
121. გაზეთის რედაქტორის ფ. ფუჯიტას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, გაზეთისთვის მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1957 წ. 10 სექტემბერი. ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
122. მუზეუმის „Домик Пермонтова“ დირექტორის ალ. გრებენკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სიმფონიური პოემა „მწირის“ პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1958 წ. 20 იანვარი. პიატიგორსკი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
123. მუზეუმის „Домик Пермонтова“ დირექტორის ალ. გრებენკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სიმფონიური პოემა „მწირის“ მაგნიტური ფირის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1958 წ. 7 აპრილი. პიატიგორსკი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
124. ფესტივალ „პრალის გაზაფხულის“ საორგანიზაციო კომიტეტის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ფესტივალში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1958 წ. მარტი. პრალა. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
125. უცნობი პირის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სპექტაკლის (სახელწოდება დასახელებული არ არის) შესახებ.
1959 წ. 3 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 2 გვ.
126. არამ ხაჩატურიანის პირადი ხასიათის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი.
1960 წ. 22 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
127. უცნობი პირის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ნოტების გაგზავნის შესახებ.
1962 15 სექტემბერი. მინსკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

128. მიკოლა ბაჟანის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, კიევში დადგმული სპექტაკლის „ანტიგონეს“ შესახებ
პირი: დიმიტრი ალექსიძე
1965 წ. 20 დეკემბერი. ნაბეჭდი, რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
129. ივან ფრანკოს სახელობის კიევის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის ა. კარპენკოს წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სპექტაკლ „ანტიგონეს“ პრემიერაზე მიწვევისთან დაკავშირებით.
1965 წ. 13 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
130. პროფესორ გრიგორი პეკერის პირადი ხასიათის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი.
1965 წ. 22 დეკემბერი. ნოვოსიბირსკი. ავტოგრაფი. შტამპი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
131. ა. ვ. ნეჟდანოვას სახელობის ვოკალურ-შემოქმედებითი კაბინეტის საბჭოს წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, კაბინეტში ჩატარებული მისი შემოქმედებითი საღამოს შესახებ.
1966 წ. 21 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. შტამპი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
132. ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის საახალწლო მისალოცი ღია ბარათი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1966 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
133. პ. ვარუნცის მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 10 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
134. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მიხაილოვის მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 10 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
135. გ. ბრაუნის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1967 წ. 29 ნოემბერი. რიგა. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
136. ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, კონცერტთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების შესახებ.
1967 წ. 7 დეკემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
137. მევიოლინე ალბერტ კოჩიშისა და პიანისტის (ვინაობა მითითებული არ არის) მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 27 დეკემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

138. მ. იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მოსკოვის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგის ვ. ვოროცკის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მის მიერ ორი ფორტეპიანოსთვის გადამუშავებული „იმორესკის“ შესახებ.
1969 წ. 2 ოქტომბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
139. არამ ხაჩატურიანის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1971 წ. 12 იანვარი. მოსკოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
140. ლადო გუდიაშვილის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი (ლადო გუდიაშვილის ჩანახატი – „ოთარ თაქთაქიშვილი“).
1971 წ. 30 აპრილი. ავტოგრაფი. ასლი. 1 გვ.
141. დმიტრი ხრისტოვის სამადლობლო წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ნოტების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1972 წ. 27 იანვარი. სოფია. ნაბეჭდი. ბულგარულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
142. ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ლ. პეშეხოვას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საფორტეპიანო კონცერტის შესახებ.
1972 წ. 29 თებერვალი. კრასნოდარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
143. მუსორგსკის სახელობის ურალის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგის ო. ი. ეგოროვას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მინდიას“ კლავირის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1972 წ. 5 მარტი. სვერდლოვსკი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
144. ნ. კლადკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, კიევში ჩატარებული საავტორო კონცერტის შესახებ.
1972 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
145. უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო საარქივო-მუზეუმის დირექტორის ლ. პროცენკოს წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ექსპოზიციისთვის ხელნაწერების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1972 წ. 24 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
146. ნ. კლადკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი მისი ნაწარმოებების შესახებ.
1972 წ. 28 აპრილი. კიევი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
147. სტელას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სოფიაში ჩატარებული კონცერტების შესახებ.
1972 წ. 8 დეკემბერი. სოფია. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

148. ტაგანროგის მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტის ნატაშა პუტილიოვას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საფორტეპიანო კონცერტის ნოტების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1973 წ. 18 სექტემბერი. ტაგანროგი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
149. აშშ-ის პრესატაშეს ელი ფლემის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, სანოტო მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1974 წ. 4 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. 2 გვ.
150. ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის დიპლომანტის კ. ოვანესოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საქართველოს სსრ-ის ჰიმნის შესახებ.
1974 წ. 10 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
151. ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის საგარეო საქმეთა მდივნის ყ. ლევის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, „მეგრული სიმღერების“ პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1974 წ. 20 სექტემბერი. სოფია. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
152. უკრაინის მეშახტეთა სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის „დონბასის“ მთავარი ქორმაისტერის ე. სემიონოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, სიმღერა „მორბის არავის“ ნოტების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1974 წ. 27 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
153. ირინა კრიხნაევას წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ერთ-ერთი ორატორიის ნოტების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1974 წ. 8 დეკემბერი. ვენა. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. გერმანულ ენაზე ხელს აწერს კარლ მელესი. 1 გვ.
154. მილოშ კონვალინკას წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მინდიას“ დადგმის შესახებ.
1974 წ. 16 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 2 გვ.
155. ვალოდიას (გვარი მითითებული არ არის) მისალოცი ბარათი ო. თაქთაქიშვილისადმი, სსრკ-ის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1974 წ. 1 ნოემბერი. ჩებოქსარი. ღია ბარათი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც (ერთვის კონვერტი).
156. სსრკ-ის მუსფონდის დირექტორის ა. ფედეევის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მიდიას“ პარტიტურის შესახებ.
1975 წ. 31 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.

157. ბარბარა ოერტელის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, საარბრიუკენში ჩატარებული ქართული კულტურის კვირეულის შესახებ.
პირი: ვახტანგ კუპრავა, ბატონი და ქალბატონი ვედეკინდები.
1975 წ. 21 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ხელმოწერილი. 3 გვ (ერთვის კონვენტი).
158. გუსტავ ერნესაქსის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ბოლო ნაწარმოების ვაჟთა გუნდისთვის პარტიტურის ასლის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1975 წ. 18 მარტი. ტალინი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
159. ზიგფრიდ კიოლერის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ვისბადენში კონცერტის გამართვასთან დაკავშირებით.
პირი: ზურაბ ანჯაფარიძე.
1975 წ. 6 მაისი. ვისბადენი. ნაბეჭდი, 2 გვ.
160. სსრკ-ის მუსიკონდის დირექტორის ა. ფადეევის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მინდიას“ პარტიტურის შესახებ.
1975 წ. 15 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
161. მარიო დი ბონავენტურას წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, სანოტო მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1975 წ. 5 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვენტი).
162. როსტოვის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგის ა. ი. სემეცკის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერების „მინდიასა“ და „ჯილდოს“ კლავირისა და პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1975 წ. 9 სექტემბერი. როსტოვი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვენტი).
163. ბრატისლავის კონსერვატორიის დოქტორის ზდენკო ნოვაჩეკის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, მათი კამერული ორკესტრის თბილისში გასტროლების გამო.
1975 წ. 22 სექტემბერი. ბრატისლავა. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ და ჩეხურ ენებზე. 1 გვ (ერთვის კონვენტი).
164. ჰესენის მხარის ვისბადენის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორის, პროფესორ ზიგფრიდ კიოლერის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ორატორიის საგუნდო პარტიების შესახებ.
1975 წ. 26 სექტემბერი. ვისბადენი. ბლანკი. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვენტი).
165. დონ რაის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ლოს-ანჯელესში დაგეგმილი კონცერტის შესახებ.
1975 წ. 20 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

166. უცნობი პირის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ზდენკო ნოვაჩეკისა და მილოშ კონვალინკას თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1975 წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
167. პრალის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორისა და ვაჟთა გუნდის ქორმაისტერის ი. პენჩიკის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, „მეგრული სიმღერების“ პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1976 წ. 16 თებერვალი. პრალა. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
168. გდრ-ის კომპოზიტორთა და მუსიკათმცოდნეთა კავშირის მდივნის ლემანის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მომავალი კონცერტების შესახებ.
1976 წ. 29 ივლისი. ბერლინი. ბლანკი. ნაბეჭდი. გერმანულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
169. სანოტო გამომცემლობა „ჰანს სიკორსკის“ დირექტორის ჰანს ვილფრედ სიკორსკის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ორატორიის „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1977 წ. 14 თებერვალი. ჰამბურგი. ბლანკი. ნაბეჭდი, ხელნაწერი. გერმანულ და ქართულ ენებზე. ხელმოწერილი 2 გვ.
170. ჟურნალ „საბჭოთა მუსიკის“ რედაქტორის ი. ს. კორევის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო ანკეტის შევსებასთან დაკავშირებით.
1977 წ. 18 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
171. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ს. ე. შაპიროს წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, კოლექციისთვის ავტოგრაფის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1977 წ. 7 ივნისი. ავტოგრაფი. შტამპი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
172. კიროვაკანის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური განყოფილების გამგის შ. ხ. დავიდიანის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ვოკალური ნაწარმოებების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1877 წ. 25 ოქტომბერი. კიროვაკანი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
173. ლილეორგ იაკოს პირადი ხასიათის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი.
1977 წ. 30 აგვისტო. ტალინი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
174. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის დ. დ. ბლაგოის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, მისი წიგნისთვის მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით.
1977 წ. 6 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).

175. მიდორი კავასიმას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, იაპონიაში ჩატარებული კონცერტის შესახებ.
1978 წ. 16 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ და ინგლისურ ენებზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი და საგაზეთო რეცენზიები იაპონურ და ინგლისურ ენებზე. 2 გვ).
176. მ. არუთუნიანის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
1977 წ. 24 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
177. პაველ ლისიციანის წერილი ლევ არაქელოვისადმი, ოთარ თაქთაქიშვილის შესახებ.
1979 წ. 27 მარტი. ღია ბარათი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
178. ნ. ა. შვარცის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი კომპოზიტორის ნაწარმოებების შესახებ.
1979 წ. 25 აპრილი. სვერდლოვსკი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
179. მ. იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მოსკოვის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგების დ. ი. შულგინას და ი. პ. ბაბიჩევას წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, აუდიო და სანოტო მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1979 წ. 7 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 2 გვ.
180. ს. ვ. რახმანინოვის მუზეუმის დირექტორის მოადგილის ა. ი. ერმაკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, საექსპოზიციო მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.
1980 წ. 20 აპრილი. ივანოვკა. ბლანკი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
181. შვედეთის რადიოკომპანიის მუსიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პიერ სკანსის პირადი ხასიათის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი.
პირი: მაყვალა ქასრაშვილი.
1985 წ. 10 ოქტომბერი. სტოკჰოლმი. ბლანკი. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.
182. გერდ ბახმანის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, პირადი კოლექციისათვის ფოტოსა და ავტოგრაფის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1986 წ. 1 ოქტომბერი. გფრ. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
183. ალან ბიტოს წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ნაწარმოებების შესახებ.
1986 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. თარგმანი ქართულ ენაზე. 3 გვ (ერთვის კონვერტი).
184. უკრაინის კომუნისტური პარტიის ვინიცკის რაიონული კომიტეტის მდივნის ი. პ. გრუშენკოს წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, უკრაინელი კომპოზიტორის ნ. დ. ლეონტოვიჩის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
[1977 წ.] ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელმოწერილი. 1 გვ.

185. ლ. ი. ლესნიჩაის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მუსუსის“ რეცენზიის შესახებ.
[1978 წ.]. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ (ერთვის კონვერტი).
186. ბარბარა ოერტელის პირადი ხასიათის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
უთარილო. ავტოგრაფი. გერმანულ ენაზე. თარგმანი. მინაწერი ქართულ ენაზე. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
187. ოდესის კონსერვატორიის დიპლომანტის ტ. პლოტნიკოვის წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მინდიას“ კლავირისა და „მეგრული სიმღერების“ პარტიტურის გაგზავნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ოდესა. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
188. ტატევიკ საზანდარიანის ხოტბის წერილი ოთარ თაქთაქიშვილისადმი, ოპერა „მინდიას“ შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
189. სომხეთის კულტურის სამინისტროს, ალ. სპენდიარიანის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის და კომპოზიტორთა კავშირის მისალოცი წერილი ო. თაქთაქიშვილისადმი.
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ავტოგრაფებით. 2 გვ (ერთვის კონვერტი).
190. ესტონეთის კომპოზიტორთა კავშირის კოლექტივის მისალოცი ღია ბარათი ო. თაქთაქიშვილისადმი.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც (ერთვის კონვერტი).
191. კარლ მელესის მისალოცი ბარათი ო. თაქთაქიშვილისადმი.
უთარილო. ვისბადენი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. 1 ც (ერთვის კონვერტი).

ოთარ თაქთაქიშვილის ჩანაწერები

192. ოთარ თაქთაქიშვილის სიტყვა, მიძღვნილი ქართული მუსიკალური კულტურისა და ოქტომბრის რევოლუციის 35 წლისთავისადმი.
პირი: ლ. გიორგაძე, ნუცა მიქელაძე, ანგელინა მიქაბერიძე, იულია ფალიაშვილი, მარინა იაშვილი, ს. ცინცაძე, ალ. მაჭავარიანი, დავით თორაძე, ბუკია.
